დანართი N1

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

2020 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N-181 ხელშეკრულებაზე

დაბა მესტია **17 დეკემბერი 2020 წელი**

ერთის მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში -„შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „კოშკი“ მისი დირექტორის გიორგი ჯაფარიძეს სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შ.პ.ს „კოშკი“–ს 2020 წლის 15 დეკემბრის N1879–01/06 მომართვის, მესტიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 17 დეკემბრის N278 მოხსენებითი ბარათისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მხარეთა შორის 2020 წლის 23 ნოემბერს გაფორმებული N-181 ხელშეკრულების მე-11 (ფორს-მაჟორი) და მე-17 მუხლების 1-ლი პუნქტების შესაბამისად ვთანხმდებით შემდეგზე:

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N-1 დეკრეტის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შედეგად, შეზღდული მიმოსვლისა და ამინდის გაუარესების გამო, შეფერხდა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ შესრულდა, წინამდებარე დანართის პრეამბულაში მოცემული სამუშაოები, შევიდეს ცვლილება: **მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. ჟამუშიდან სოფ. ჭოლაშში გადასასვლელი რკინა ბეტონის ფილის მოწყობის სამუშაოები.** მხარეთა შორის 2020 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N-181-ე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 1-ლ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადებიდან 2021 წლის 10 ივნისამდე.
2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 10 ივლისამდე.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2020 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N-181-ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	შ.პ.ს „კოშკი“
ს/კ 235895046	ს/კ 435892296
მერი	დირექტორი
კაპიტონ ჟორჟოლიანი	გიორგი ჯაფარიძე
----------	----------

Mestia Municipality
Digitally signed by Mestia Municipality
Date: 2020.12.17 14:47:21 +04'00'

Giorgi Japaridze
Digitally signed by Giorgi Japaridze
Date: 2020.12.17 14:45:49 +04'00'